

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
090.013.004.141

**საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის ბრძანება N 12
2000 წლის 17 მარტი ქ. თბილისი**

**საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესის
დამტკიცების შესახებ**

”არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ”საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესი “ (თან ერთად);
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ცერცვაძე

საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესი

მუხლი 1

”საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესი“ მომზადებულია ”არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესს.

მუხლი 2

1. საპენსიო სქემის რეგისტრაცია და რეესტრის წარმოება ხორციელდება სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ.
3. საპენსიო სქემის რეგისტრაცია ხორციელდება იურიდიულ პირთათვის.

მუხლი 3

1. საპენსიო სქემის რეგისტრაციის საფუძველია საპენსიო სქემის დამფუძნებლის

წერილობითი განცხადება.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) საპენსიო სქემის დამფუძნებლის საფირმო სახელწოდებას;
- ბ) საპენსიო სქემის დამფუძნებლის ორგანიზაციულ_სამართლებრივ ფორმას;
- გ) საპენსიო სქემის დამფუძნებლის ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
- დ) საპენსიო სქემის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და

გვარს;

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) საპენსიო სქემის დამფუძნებლის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში შესაბამისი სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი (კანონი, პრეზიდენტის ბრძანებულება და სხვ.);

ბ) საპენსიო სქემის დამფუძნებლის სასამართლოში რეგისტრირებული წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) საპენსიო სქემა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმით (სამ ეგზემპლარად);

დ) ბიზნეს_გეგმა;

ე) საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალის დამადასტურებელი დოკუმენტი "საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისადმი ძირითადი მოთხოვნის განსაზღვრის წესის " შესაბამისად.

მუხლი 4

დამსაქმებლის და დამსაქმებელთა გაერთიანების საპენსიო სქემის რეგისტრაცია ხორციელდება თუ მათი კაპიტალის ოდენობა უკანასკნელი საანგარიშო პერიოდისათვის არ იქნება დამსაქმებელთა ყველა მონაწილის სასარგებლოდ დაგეგმილ წლიურ შენაგანზე ნაკლები.

მუხლი 5

1. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ვალდებულია საპენსიო სქემის რეგისტრაცია განახორციელოს 15 კალნდარული დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდა ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობა მოგივირებული უარის შესახებ, საპენსიო სქემა ჩაითვლება რეგისტრირებულად და საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა და საპენსიო სქემის დამოწმებული ორი ეგზემპლარი.

2. რეგისტრაცია სავალდებულოა აგრეთვე საპენსიო სქემაში შეგანილი ცვლილებებისა და დამატებებისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

3. საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს საპენსიო სქემაში შეგანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ აცნობოს 5 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6

1. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს საპენსიო სქემის მონაცემები შეაქვს უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრში.

2. უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრში შეიგანება:

ა) მონაცემები საპენსიო სქემის დამფუძნებლის შესახებ (საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები, ადგისამყოფელი, ასევე მონაცემები მისი საფირმო სახელწოდების, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის, ადგისამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შესახებ);

ბ) საპენსიო სქემის რეგისტრაციის ნომერი და გაცემის თარიღი;

გ) მონაცემები საპენსიო სქემის შეწყვეტის თაობაზე.

4. საპენსიო სქემა შეწყვეტილად ითვლება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ საპენსიო სქემის შეწყვეტის შესახებ საპენსიო სქემების რეესტრში ჩანაწერის შეგანის მომენტიდან.

მუხლი 7

საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია საპენსიო სქემის რეგისტრაციის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო მედამხედველობის სამსახურში წარადგინოს განცხადება საპენსიო დაზღვევის საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის მისაღებად.